პანდემიით გამოწვეული შფოთვისა და სირთულეების დაძლევის სტრატეგიების კვლევა სკოლის მასწავლებლებში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

15 ივნისი, 2022 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა ეხება ,,სწავლებას სახლიდან'', საქართველოს სკოლების ჭრილში. იგი ფოკუსირდება მასწავლებელთა შფოთვაზე პანდემიის პერიოდში და სირთულეების დაძლევის მათეულ სტრატეგიებს იკვლევს. მონაცემები შეგროვდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, ხოლო დამუშავდა თემატური ანალიზის მეშვეობით, რომლის საფუძველზეც, გამოიყო შემდეგი ბლოკები: 1) კორონა ვირუსის გამოჩენასთან დაკავშირებული განცდები, 2) პანდემიის გავლენა მასწავლებელთა ბიო-ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე, 3) პანდემიით გამოწვეული სირთულის დაძლევის სტრატეგიები, 4) ცხოვრება დღეს - პანდემიის პასიური ფაზა. თბილისისა და ვანის კერძო და საჯარო სკოლის 6 მასწავლებლის სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზისას გამოიკვეთა პანდემიასთან დაკავშირებული შფოთვის მაღალი დონე, რომელიც მიემართებოდა ოჯახის წევრებისა და მოსწავლეების ჯანმრთელობას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პანდემიით გამოწვეული სტრესი ბევრად უკეთ იქნა დაძლეული სასკოლო გარემოში, ვიდრე სამეგობროში. დისტანციური სწავლებისას, მასწავლებელთა ნაწილს დიდი დახმარება გაუწია ადმინისტრაციამ, რამაც ხელი შეუწყოთ სირთულეების გადალახვაში. ყველა მათგანისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ძლიერი პიროვნული თვისებები, სიახლისადმი ლტოლვა და მარტივი ადაპტაციის უნარი. მასწავლებლებმა პრობლემაზე ორიენტირებული დაძლევის გზა აირჩიეს, რომლის ფარგლებშიც მიზანმიმართულად მუშაობდნენ სტრესული გარემოს შეცვლაზე. შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოლინდა მცირე განსხვავება მასწავლებელთა საგნობრივი სპეციალიზაციის მიხედვით. კერძოდ, მეტი შემოქმედებითობით გამოირჩა დაწყებითი კლასის და გეოგრაფიის მასწავლებლები. ასევე, აღინიშნა რესურსების მრავალფეროვნების, მიმზიდველ ვიზუალზე ზრუნვის საჭიროება შედარებით დაბალ კლასებში, მოტივაციის გაზრდისა და სწავლისადმი ხალისის შენარჩუნების მიზნით. საინტერესოა, რომ სტაჟისა და ასაკის მიხედვით, სასკოლო გარემოში სირთულეების დაძლევასთან დაკავშირებით განსხვავებები არ გამოვლინდა. კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმა, წარმატებით დაძლიეს პანდემიის სტრესული პერიოდი და მიუხედავად დიდი დატვირთვისა, სამსახური არ დაუტოვებიათ.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, მასწავლებელი, სკოლა, შფოთვა, სტრესი, სტრესის დაძლევა, კეთილდღეობა, ბიოფსიქოსოციალური მოდელი.

Abstract

This research is regarding of "online teaching" at Georgian schools. Our study focuses on anxiety that teachers might have during a pandemic and explores their own coping strategies. Data were collected using a qualitative method and processed through thematic analysis, based on which the following blocks were identified: 1) perception related to the of the coronavirus, 2) The impact of the pandemic on teachers' bio-psycho-social status, 3) Strategies to overcome the challenges developed under the pandemic situation, 4) In this day and age - the weakening of the pandemic. Analysis of in-depth interviews that conducted with 6 teachers from private and public schools in Tbilisi and Vani revealed high levels of pandemic-related anxiety upon the health of family members and students. Teachers noted that the stress caused by the pandemic has been overcome much better in the school environment rather than in the community. During the “online teaching”, assistance provided by the school administration, was great help for the part of the teachers. It gave them a hand with overcome the difficulties. Strong personal qualities, longing for novelty and the ability to adapt easily turned out to be important for all of them. Teachers chose a problem-oriented coping approach in which they purposefully worked to change the stressful environment. Based on the analysis of the results, a small difference was revealed according to the subject specialization of the teachers. In particular, elementary and geography teachers were more creative. Also noted was the need for a variety of resources, attractive visual care in relatively lower grades, to increase motivation and maintain a willingness to learn. Interestingly, no differences were identified in terms of seniority and age in terms of overcoming difficulties in the school environment. The teachers involved in the study, successfully overcame the stressful period of the pandemic and despite the heavy workload, did not leave the job.

Keywords: pandemic, teacher, school, anxiety, stress, coping with stress, well-being, biopsychosocial model.